



57 հանունք

Եղբայր -

Հ. Ա. Բ.

Տնօրինութեան

1. Առ դաշտա-
- 2 ջջ լուսաբանություն
3. Լզակաց ամպակտ զարգացման
4. Ինչեւու լուսուն
5. Յըլօս լուսուն լուսաբանություն
6. Յանդիմաց ճամփառ ծայրա-ն
7. Յըլօս = Յ. Ա. Ջանիկյան վաճառքային
8. Շնորհ կայութեան առջևունք
9. Կայութեան զարգացման
10. Վաճառքային ժամփառ զարգացման

Հ. Ա. Բ.

1630

1630

5-361500

Zeta 1000



# გლობალური საკითხები საცნობანგეოგრაფი.

თარგმანი

ვ. გარეშემისა.

გამოცემა „გეოგრაფია“, № 4.

თბილისი

სტამბა მ. ე. ხელაძესა, სოლოლაკი, პასკუელის ქ., სახ. № 8.  
1906 წ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 февраля 1906 г.

## გლეხთა საკითხი საფრანგეთში.

### I

საფრანგეთში და მომეტებულ ნაწილ ევროპის სხვა ქვეყნებში საგლეხო საკითხი მიწად-მოქმედების კაპიტალიზაციის, ანუ უკეთ რომ ვსოდეთ, მსხვილ და წვრილ მიწად-მფლობელობათა შორის ბრძოლის საკითხად გადაიქცა. პერიოდიულმა და ხშირმა კრიზისებმა ამ ბოლო ხანებში ძლიერ გააშევავეს საგლეხო საქმე ევროპის სხვა და სხვა ოდგილის და მით უმეტეს საფრანგეთში, სადაც სოფლის მცხოვრები შეაღვენენ 62 პროცენტს საფრანგეთის მცხოვრებთა რიცხვისას.

რომ უფრო უკეთ წარმოვიდგინოთ ფრანგ გლეხის თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, საჭიროა თვალი გადავავლოთ მის მდგომარეობას დიდ რევოლუციამდე და მის შემდეგ.

საფრანგეთში ბატონყმობის გაუქმება დაიწყო XV—XVI საუკუნეში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რევოლუციის დროს გლეხ-კაცი ფაქტიურად და თითქმის იურიდიულითაც ისე ფეოდალურ სენიორის, მემამულის მონობის უდელში ება. უმიწა-წყლობამ, აუარებელმა და აუტანელმა სახელმწიფო გადასახა-

დებმა, ჩარჩების, მემამულეების, სამლელოების და მეფის მოხელეთა ყვლეფამ და ცარცვა-გლეჯამ გლეხ-კაცი უკიდურეს სიღატაკეში ჩააგდო. ამისთან ერთად უსწავლელობა და უუფლებობა უფრო უხუთავდა სულს გლეხ-კაცობას; კულტურული და სოფელი ძლიერ დაცემული იყო ამ დროს. მიწა ისევ პრიმიტივული და მუშავდებოდა, სამეურნეო ტეხნიკა თითქმის ისევე იყო, როგორც საუკუნეში. ხსნა არსათ იყო. გლეხ-კაცობა მეტის მეტ აუტანელ მუშაობისაგან და გაჭირვებისაგან, მუდმივ შიმშილისაგან და ავადმყოფობისაგან სწერულ დებოდა, იხოცებოდა, ომებმა ხომ სულ მოლად განახევრა საფრანგეთის გლეხობა.

„საფრანგეთში, სწერდა 1779 წელში ინგლო-სკოლი მოორი, სატახტო ქალაქის უსაქმური ღატა-ჰბი უფრო უკეთეს პირობებში სცხოვრებენ, ვადრე შშრომელი გლეხ-კაცობა... ყოველ ქვეყანაში ცუდი მოსავალი დროებით გამოიწვევს ხოლმე ხალხში გაჭირვებას და შიმშილს. მაგრამ, თუ ისეთ ქვეყანაში, როგორც საფრანგეთია, გლეხ-კაცობის სიღატაკე შეუცვლელი და რჩება რამდენიმე მეფის განმავლობაში, ეს უტყუარი მაჩვენებელია მთავრობის უზრუნველობისა და მთავრობა ამ შემთხვევაში ხალხის მჩაგვრეთად ხდება“. მოორის გარდა ბევრი სხვა ამ დროის მწერლებიც (როგორც პავალითად, იუნგი, რომელიც დიდ რევოლუციის წინ საფრანგეთში მოგზაურობდა) ამტკიცებენ, რომ XVIII საუკუნეში გლეხი საფრანგეთში ძლიერ და ბეჩავებული იყო.

გლეხთა დაცემულმა მდგრმარეობაშ XVIII  
საუკუნეში ორი საკითხი წამოაყენა გადასაწყვეტად:  
ა) გლეხთა განთავისუფლება ფეოდალურ მონობისა  
და აუარებელ გადასახადებისაგან და ბ) უსრუნველ-  
ყოფა თავად-აზნაურობისა ან რომელიმე სხვა სა-  
ზოგადოებრივ კლასის ახალ დამონიტისაგან საპა-  
ტიონო მიწების თანაბარ განაწილებით გლეხთა შო-  
რის.

პირველი საკითხი კატეგორიულია და საფუ-  
ძვლიანი გადასწყდა 23 ივნისს 1789 წელს. ლუი  
XVI დიდის ამბით დაპირდა თავად-აზნაურობას  
„ფეოდალურ უფლებათა ხელ-შეუხებლობას“, მაგ-  
რამ თვე ნახევარიც არ გასულია, რომ გამოცხადდა  
განთქმული „ოთხი აგვისტოს დეკრეტი“. ამ დეკ-  
რეტის პირველ მუხლში ვკითხულობთ: „ნაციონა-  
ლური კრება \*) აუქმებს ფეოდალურ წესწყობილე-  
ბას“. შემდეგში ფეოდალურ წესწყობილებას სამუ-  
დამოდ მოელო ბოლო კონვენცის \*\*) დეკრეტის  
ძალით 17 ივნისს 1793 წ. მეორე საკითხს-კი,  
რომელიც თვით გლეხობაშ წამოაყენა, სხვანაირად  
მოქმედი ნაციონალური კრება. ბურჟუაზია ნათლად  
ხედავდა თავის კლასობრივ ინტერესებს და, რასა-  
კირველია, ფიქრიდაც არ მოსვლია გლეხკაციაბის

\*) ხალხის წარმომადგენელთა პირველი კრება საფრან-  
გეთში (17 ივნისს 1789 წ.).

\*\*) ხალხის წარმომადგენელთა კრება, რომელმაც 21  
უნკენისთვეს 1792 წ. საფრანგეთი ჩესპუბლიკად გამოაცხადა.

მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება. მართა-  
ლია ფეოდალური წესწყობილება გაუქმდა, მაგრამ  
ბურეუაზიას ხელიც არ გაუნძრევია, რომ უზრუნ-  
ველ ეყო შშრომელი ხალხი ხელ-ახალ დამონე-  
ბისაგან. მაგრამ თვით დროთა ვითარებამ თიხულა  
ბურეუაზია ამ საკითხისთვისაც ყურადღება მოქმედია.  
რევოლუციის გრიგოლმა, რომელიც გლეხთა მო-  
ძრაობით დაიწყო, გამოიწვია თავად-აზნაურთა გა-  
დასახლება, ემიგრაცია. მემამულები ასობით და  
ათი-ათასობით ანებებდნენ თავს მამულებს, ციხე-  
კოშკებს, სასახლეებს და გარბოდნენ ბელგიაში,  
ავსტრიაში და გერმანიაში, სადაც საფრანგეთის სა-  
რევოლუციის მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციას  
სწევდნენ და მტრის ჯარებში საფრანგეთის წინაა-  
ღმდეგ იბრძოუნენ. ნაციონალურმა კრებამ 1792 წ.  
14 აპრილის დადგენილებით გაძლიერდა თავად-აზნა-  
ურებს მამულები სულ ერთიანიდ ჩიმოართვა და  
სახელმწიფოს გადასცა. ოთხი თვის შემდეგ ამავე  
კრებამ 14 ავგვისტოს გამოსცა დეკრეტი, სადაც  
ვკითხულობთ: „წვრილ მესაკუთრეთა რიცხვის გა-  
სამრავლებლად.... ის სახნავი მიწები, საძოვრები  
და ვენახები, რომლებიც გაძლიერდა თავად-აზნაურ-  
თა საკუთრებას შეადგენდა, უნდა დაიყოს პატარ-  
პატარა ნაწილებად (ოთხიდან ექვს დღიურამდის) და  
გაიყიდოს“.

ნაციონალურ კრებას უნდოდა ამით გლეხეა-  
ცობა თავის მხარეს გადაებირებინა და ამასთან ერ-  
თად ფულიც ეშვეა, რაც აუცილებელ საჭიროება

შეაღვენდა შინოურ და გარეშე მტრებთან ბრძოლა-  
ში. მაგრამ გლეხობის იმედი ჰქონდა, რომ თავად-  
აზნაურთა მიწები უსასყიდლოდ დაურიგდებოდათ  
და, რასაკვირველია, ამ ნახევარ ზომით არ დაკმა-  
ყოფილდა. მიწები არ იყიდებოდა, მიუხედავად იმი-  
სა, რომ ძლიერ იაფად იყო დაფასებული. იმის გა-  
რდა, რომ მომეტებულ ნაწილს გლეხებიც იყი-  
დვის სახსარი არა ჰქონდა, ბევრს ეშინოდა კიდევ,  
რომ ნაყიდი მიწები ისევ წაერთმეოდათ; ამასთან  
უსასყიდლოთ დარიგების იმედიც ჰქონდათ. ამ ვვა-  
რად 4—5 წლის განმავლობაში მხოლოდ 452,000  
ნაჭერი გაიყიდა. ეს გაყიდული მიწები შემდეგში,  
რესტავრაციის დროს, ერთ მილიარდ 297 მილიონ  
ფრანკად დაფასდა, რაც დაახლოვებით მთელ საბა-  
ტონო მამულების ლირებულობის შეათეს შეაღვე-  
ნდა. ამ 452,000 ნაჭერიდან მეტი წილი ჩარჩებ-  
და იგდეს ხელთ და შემდეგ ერთი სამად პყიდლნენ  
გლეხ-კაცობაზედ.

ემიგრანტთა მამულების გაყიდვა რომ ცოტა  
დიდხანს გაგრძელებულიყო, ადვილად შესაძლებე-  
ლია, რომ გლეხ-კაცობას სულ თუ არა, ამ მიწე-  
ბის მომეტებული ნაწილი მაინც გამოესყიდა და  
ამ აქტს იმით საფრანგეთის გლეხობის მომავალ ბეჭ-  
ილბალზედ დიდი გავლენა ექნებოდა. მაგრამ პირველ-  
ში უკან დახვამ ძველ წესწყობილებისაკენ, რეაქ-  
ციის დაწყებამ მამულების გაყიდვის შეჩერება გა-  
მოიწვია და შემდეგ 30 წლის განმავლობაში, ჯერ  
პირველ იმპერიის, და შემდეგ რესტავრაციის დროს

მთავრობა მთელის თავის ძალალონით ცდილობდა  
არა მარტო დეკრეტის გაუქმებას, არამედ იმასაც  
კი, რომ საფრანგეთში მიწისმფლობელობა ისე მო-  
ეწყო, როგორც რევოლუციამდე იყო.

დირექტორის დროს შეჩერებულ იქმნა ემი-  
გრანტთა მამულების გაყიდვა. შემდეგში ნაპო-  
ლეონმა, კონსულობის დროს, საბოლოოდ გააუქმა  
14 პრილის დეკრეტი. ნაპოლეონი გრძნობდა, რომ  
იმპერატორობისაკენ გზის გასაკაფიად საჭირო იყო  
რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფის ერთგული მო-  
მხრეობა, გრძნობდა იმასაც, რომ ამ როლს საუ-  
კეთესოდ შეასრულებდა ძველი თავად — აზნაურობა  
და ამიტომ მათ პატიება გამოუცხადა და ჩამორთმე-  
ული მამულებიც უკან დაუბრუნა.

ნაპოლეონის დაწყებული საქმე რესტავრაციაშ  
დაამთავრა. ლუი XVIII-ემ ტახტზე ასვლისათანავე  
(1814 წ.). უკელა გაუყიდავი მიწები ისევ გაქცეულ  
მემამულებს დაუბრუნა. ათის წლის შემდეგ კარ-  
ლოს X იმავ მემამულეების დამარებით გამოსკა-  
კანონი, რომლის ძალითაც გაყიდულ მიწების სა-  
მაგიეროდ მათ ჯილდოთ უბოძა ყოველ წლიური  
რენტა 30 მილიონი. ეს ხარკი (1829 წლის 30  
მილიონი იყო და შემდეგ-კი 26 მილიონი ყოველ  
წლივ), რომელსაც ხილხი დღევანდლიმდის იხდის,  
ეხლა დიდ თანხად გადაიქცა (2 მილიონდი).

ასეთი იყო სვე-ბედი ერთად ერთ რადიკალურ  
ქრისა მიწის მფლობელობის საკითხის გადაწყვე-  
ტაში. ამ პირველ ცდას, რომელიც ხალხს ორ მი-

ლიიარდათ (თუ ორჩევოლით მიწების ყიდვის დროს დახარჯულ ფულს) დაუჯდა, შედეგათ მომჴვა წვრილ შესაკუთრეთა რიცხვის გამრავლება ერთ მილიონის შეოთხედით. იმის შემდეგ, მოელ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, სრულიად ვერ ნახავთ იმის ცდას, რომ მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობა მოწესრიგებულიყო, რომ გლეხის საკუთრება გაფართოვებულიყო და გლეხი მსხვილ მემამულის გავლენისაგან განთავისუფლებულიყო. XX საუკუნეშიაც კი ვხედავთ დახლოვებით იმივე სურათს, რა სურათსაც წარმოადგენდა მიწის მფლობელობა საფრანგეთში რევოლუციამდის!

## II

XVIII საუკუნის დამლევში (1790 წ.) საფრანგეთის მცხოვრებნი მეადგენდნენ 26,500,000 სულს; ერთი მეათედი ამ რიცხვისა იყო ქალაქის მცხოვრებნი. დანარჩენ ოც-და-ოთხ მილიონიდან მხოლოდ სამ მილიონს შექნდა მიწის საკუთრება.

გლეხის საკუთრება მეტად მცირე და დაქუცმაცებული იყო და შეადგენდა მოელ საფრანგეთის სახნავ მიწების ერთს მესამედზე ნაკლებს. დანარჩენ ორ მესამედს, რომელიც უმთავრესად თავადაზნაურთა საკუთრება იყო, მოიჯარიდრენი ამუშავებდნენ და მემამულეს მიწის ქირად შემოსავლის ნახევარს აძლევდნენ. შეიღი მერვედი საფრანგეთის მიწებისა სანახევროდ მუშავდებოდა. მხოლოდ აქა-

იქ მოიჯარადოდ იჯარას ფულად იხდიდა (ფერმერობა). უმიწაწყლო გლეხთა რიცხვიც ბლომად იყო.

საერთოდ ამგვარი იყო საფრანგეთის მიწის-მფლობელობის სურათი 1789 წლამდის. ვნახოთ ესლა რას წარმოადგენს საფრანგეთის თანამედროვე მიწის მფლობელობა.

1896 წელს საფრანგეთში 38 მილიონ ნახევარი მცხოვრები იყო. სოფლის მცხოვრებნი ცხრა მეათედის შაგივრად მხოლოდ ექვს მეათედს შეადგენდნენ. მაგრამ უკანასკნელთა რიცხვი კი ისევ უწინდებურად 24 მილიონი დაჩია, საიდანაც მუშა ხელის რიცხვი 6 მილიონ ნახევარი იყო (ქალები, მოხუცები და ბავშვები რომ არ ვიანგარიშოთ). 1892 წლის სტატისტიკით მიწადმომქმედთა მდგომარეობა ამნაირი იყო:

1) მიწის მესაკუთრე და მხოლოდ თავის საკუთარ მიწაზედ მომუშავეთა (პირადათ ან მოსურავების საშუალებით)  
რიცხვი . . . . . 2,199,220 ანუ 33,00 %

2) მიწის მესაკუთრე, მაგრამ ამ მიწის სივიწროვის გამო სხვის მიწაზედ მოიჯარადორეთ, მონახევრეთ ან მოჯამაგირეთ მომუშავეთა რიცხვი . . . . . 1,188,025 ანუ 17,80 %

3) რიცხვი უმიწაწყლოთა, სხვის მიწაზედ მომუშავე ფერმერთა, მონახევრეთა, მუშათა და მოსამსახრეეთა . . . 3,275,890 ანუ 49,20 %

სულ . . . 6,663,135 ანუ 100 %

ამ ანგარიშიდან ნათლად ვხედივთ, რომ საფრანგეთის მიწის მუშათა ნახევარს მიწაზედ არავითარი საკუთრება არ გააჩნდა, და მეორე ნახევრის ერთს მესამედს, წვრილფეხა გლეხობას მარტო თავის საკუთარ მიწის სამუჟალებით ჩაენა არ შეეძლო. ამ გვარად საქმარისი მიწა აქვს მხოლოდ ერთს მესამედს და ამ ნაწილს შეადგენენ მსხვილი და სამუჟალო შემამულენი.

ენახოთ ეხლა რანაირად არის დაყოფილი მიწა ამ 3,387,245 მეტაკუთრეთი შორის.

მოელ საფრანგეთის სახნავ მიწების სივრცე 1892 წ. იყო 49,378,813 ჰექტარი (ჰექტარი დახლოვებით დღიურ ნახევარს უდრის). ეს მიწა დაყოფილია 5,702,752 საოჯახო ნაკრებად (ხօვანისტური ურიანობით დღიურ ნახევარს უდრის). ამ ნაკრებთა რიცხვი უფრო მეტია მემამულეთა რიცხვზედ, რაღაც ზოგს მემამულეს ორი და ზოგჯერ მეტი ნაკრები უჭირავს. ნაკრების სივრცის რაოდენობა ამ გვარია:

ნაკრების სიფარ- თოვე	ამ გვარი ნაკრები რაოდენია	სულ რავ- დენი ჰექ- ტარია	მოელ სახნავ მიწების სი- ვრცის %
1 ჰექტარზე ნაკლები.	1,235,405	1,327,239	2,68 %
1-დან 5 ჰექტარამდენის.	2,829,259	5,489,250	11,22 %
5 „ 10 „	788,299	5,755,500	11,65 %
10 „ 40 „	711,118	14,313,417	28,98 %
40 „ და მეტი.	138,671	22,493,393	45,47 %

ამ ინგარიშიდან მშევენივრად ვხედავთ იმას, თუ რაგვარი ურთიერთობა იყო მსხვილ და წერილ მიწის მფლობელობათა შორის. + მიღიონ წვრილ მესაკუთრე გლოხთა საკუთრება (ხუთ ჰექტარამდის) მთელ მიწის სივრცის ერთს მეექვსედს და 800,000 უფრო შეძლებულ გლოხთა მიწები (ხუთიდან ათ ჰექტარამდის) ერთს მეათედს (პირველთან ერთად კი მთელი მიწების ერთს მეოთხედს) შეადგენენ, — მაშინ, როცა 850 ათასი საშუალო და მსხვილ მემამულეთ დანარჩენი სამი მეოთხედი უჭირავთ. თუნდაც რომ მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ზოგიერთი ნაწილი ათიდან ორშოუა ჰექტარიან მამულებისა შეძლებულ გლოხ-კაულებს უჭირავს, მაშინაც საგლეხო მიწების სიფართოვე თითქმის იგივე იქნება, რაც XVIII საუკუნეში იყო.

შეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მიწის-მფლობელობის ხასიათი ძლიერ შეიცვალა. საშუალო და მსხვილ მამულების მეტი ნაწილი ხელთ იგდობურებუაზიამ. მონახევრეების (половники) მაგივრად, რომელთა რიცხვმაც  $7,18 \%$  იყო, ერთის მხრივ ვხედავთ ფერმერებს და მეორე მხრივ ქირით მომუშავეთ — პროლეტარებს. მაგრამ მსხვილ მემამულეთა და გლოხთა შორის ურთიერთობა ამით შესამჩნევად არ შეცვლილა. პირიქით, მომეტებულ შემთხვევაში ისეთივე იყო როგორც დიდ რევოლუციის წინ. ეხლაც, როგორც XVIII საუკუნეში, მსხვილი მემამულე ფაქტოურად თვის მამულების მიღდამოში განუსაზღვრელი ბატონია, რომელსაც

ემორჩილება ადგილობრივი ადმინისტრაცია, ინ-  
ტელიგენცია და სამღედლოებაც, — რომელიც,  
სარგებლობს რა თავის ეკონომიკურ ბატონობით  
გლეხობაზედ, უკანასკნელთაოფის თავის ნება-  
სურვილს კანონათ ჰქმნის, უკარჩახებს თავის რე-  
ლიგიურ და პოლიტიკურ რწმენას და იმის გარდა  
მძულებს, რომ დეპუტატთა საკრებულოში და გე-  
ნერალურ შტატებში ან თავის თავი, ან თავის სა-  
სიამოენო კანდიდატი გააგზავნინოს.

ზეცით ნათელამით ჩენ არ გვწადდა დაგვემტყი-  
ცებინა, ვითომ საფრანგეთის გლეხი XIX საუკუ-  
ნეში ისეთივე იყო, როგორც XVIII საუკუ. და-  
მლეცმი. პირ იქით, რაც შეეხება კულტურას და  
გონიეროვ განვითარებას, ამ შემთხვევაში გლეხობამ  
დიდი ნაბიჯი წასდგა წინ ამ საუკუნის განმავლო-  
ბაში. რევოლუციის წინა დროის მშერ-მწყურვალ,  
უსწავლელ, უუფლებო და დაჩაგრულ გლეხისთვის  
რომ ეწვენებინათ თანამედროვე წერაკითხვის მცო-  
დნე გლეხი, რომელიც სარგებლობს თითქმის ყვე-  
ლა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებით, რო-  
მელმაც არ იცის რა არის განუწყვეტელი სიმშილი  
და უწინდებური ცარცვა გლეხა, ურცხვი, აშკარა  
ძალმომჩერება, — ის, უსათუოდ, ვერც კი გაბედვ-  
და უკანასკნელისათვის თავის შთამომავალი დაერ-  
ქვა. მიგრამ, მიუხედავათ იმისა, მემამულეთა და  
შშრომელ გლეხ-კაცობის ურთიერთობას, რომელიც  
ეკონომიკურ დამონაცების ნაყოფია, მაინც უეოდა-  
ლური წესწყობილების ხასიათი შერჩა.

მაშ რა მიზეზებია, ან და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს იმ გარემოებას, რომ მთელ საუკუნის განმავლობაში გლეხთა წვრილი საკუთრება თითქმის ერთგვარი დარჩა, არ დაკარგა არც თავის ფორმები, არც სივრცე და რაოდენობა და არც მსხვილ მიწის საკუთრებასთან განწყობილება შეიცვალა? ეს უცვლელობა შეჩერებისა და უძლურების მაჩვენებელია, თუ, პირიქით, ამტკიცებს მიწაზედ წვრილ საკუთრების ძალას და ცხოველმყოფელობას? გვაქვს უფლება, რომ საფრანგეთის გლეხობას დანაშაულად ჩაეცუთვალოთ ის გარემოება, რომ მან მთელ საუკუნის განმავლობაში ვერ შესძლო ეკონომიკურად წელში გასწორება, ვერ შესძლო მიწის ხელთვდება და ამით მსხვილ მემამულეთა ბატონ-მბრძანებელობისაგან თავის ხსნა, თუ ქებაც დაიმსახურა მით, რომ ამ გლეხობის ხელიდან არ გაუშვა ის საკუთრება მაინც, რომელიც დიდ რევოლიუციამდის ებადა, ფეხ-ქვეშ გაიმაგრა იგი და უმიწაწყლო პროლეტარად არ გახდა?

### III

თუმცა საფრანგეთის დიდია რევოლიუციაში გლეხს წილად არ არღუნა მიწა, არც მეორედ დამონავებისაგან იხსნა იგი, მაგრამ იმის დიდი დეაჭიდი იმაშია გამოიხატება, რომ ძალით არ წაართვა მიწა, როგორც ეს ინგლისში და შრუსსიაში მოხდა, ახალ ეპონომიურ ურთიერთობის ნაადგარს გლეხი ხელ-ფეხს შე-

ბორკიდი არ მისცა, მძღვან გაშიტადის ბრჭევალებთან  
საბრძოლებელად წელში გაწევეტიდი არ გაუშვა. მან  
გლეხობის შეტს ნაწილს მიწა შეარჩინა და ამგვა-  
რად კაპიტალიზმს პროლეტართა რაზმი არ დაუმ-  
ზადა. ამით გლეხობას შეძლება მიეცა, თავის ძალ-  
დონით ებრძოდა და მცირე ექონომიკი დამოუკიდებ-  
ლობა მაინც შეეჩინა.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე საფრანგეთის  
გლეხობას ერთი მეორეზედ უფრო მძლავრი და ჟა-  
შიში ძალები ებრძოდნენ. ეს ძალები მას დამოუკი-  
დებლობის და მიწის წართმევას, დამონაცებას უქადა-  
დენ. პირველ ოც-და-ათი წლის განმავლობაში სის-  
ტემატიურმა რეაქციამ თანდათან აღადგინა ფეოდა-  
ლური წეს-წყობილება; გლეხობას დაუპირდაპირა  
მისი ძეველი მტერი, გაუმაძლარი, შეუბრალებელი და  
გაბოროტებული მემამულენი, რომელთაც, დაი-  
ბრუნეს თუ არა ჩამორთმეული მიწები, მაშინვე  
შეუდგნენ ძეველ წესების აღდგენას, დაიწყეს ძე-  
ლებურად მშრომელ გლეხის ტყავება და რბევა,  
ძეველებურად აპირებდნენ მის ნაოფლარზედ პარ-  
ვაშს.

მეოცდა თე წლის შეათათეს რევოლუციამ  
გლეხეაც გაუჩინა ახალი ბატონ-მშრალებელი, უფ-  
რო მძლავრი და უფრო სასტიკი ვიდრე ბრწყინვა-  
ლე თავად-აზნაურობა იყო—ბურეუაზია. ამან პო-  
ლიტიკურ ძალის ხელში ჩაგდებისათანავე შშრო-  
მელ ხალხის წინააღმდეგ ახალის იარაღით გამოი-  
ლაშერა. თუ ძეველად გლეხს თავად-აზნაურობა თავ-

ში კეტს ურაკუნებდა, უკანასკნელმა ვერცხლით  
შეუკრა კრიპა.

საფრანგეთმა XIX საუკუნის დახაწყისში კა-  
პიტალისტურ წარმოების განვითარების ხანაში შე-  
სდგა ფეხი, ე. ი., იმისთანა ხანაში, რომლის დრო-  
საც მეტი ნაწილი საგნებისა მანქანებისა და დაქი-  
რავებულ სამუშაო ძალის საშუალებით მზადდება,  
და ეს საგნები მწარმოებელის-მუშის მოთხოვნილე-  
ბაჭა დასაქმაყოფილებლად კი არ მიღის, ქარხნის  
პატრონის-კაპიტალისტის ჯიბის გასავსებათ იყი-  
დება. მისელა-მოსელის გაუმჯობესობამ საერთა შო-  
რისო ვაჭრობა მეტის მეტად გააძლიერა და უკა-  
ნასკნელმა წარმოების გადიდება გამოიწვია. ევროპის  
სხვა და სხვა ერთა შორის დაიწყო ქიშპობა, კონ-  
კურენცია, თვითფული მათვანი სცდილობდა უფრო  
იაფად დამზადებინა საქონელი და სხვა ხალხისა-  
თვის მყიდველი წერითმია.

შე-XIX საუკუნის ნახევარში კაპიტალიზმი  
წარილ მიწის მფლობელობას სიერანგეთში ძირი  
შეუჩიყა. გლეხ-კაცი ერთად ერთი იმედი—მიწა ფეხ-  
ქვეშ ეცლებოდა. საქარხნო წარმოებამ პეტრი დარგი  
შინად-მრეწველობისა, რომელიც უწინ გლეხისთვის  
უულის საშონელ წყაროს შეაღენდა, შთანთქა  
და იმით გლეხს ფულის შოვნა კიდევ უფრო გაუ-  
ჭირდა. იმის ზედ დაერთო გადასახადების მომატება  
და თხოვი მოთხოვნილებანიც, რომელთაც წინად  
შშრომელი გლეხობა ან სრულებით არ იცნობდა  
და თუ იცნობდა, თვითონვე შინაურ მრეწველობის  
საშუალებით იქმაყოთილებდა.

მაგრამ მარტო ამით არ თავდება კაპიტალიზმის გავლენა სოფელზე. მან მიწად-მოქმედებაშიც (რასაკვირველია, მსხვილ მამულებში) სამანქანო წარმოება შეიტანა. ამით მუშაობის ნაყოფის რაოდენობაც გაძევრდა და გაიაფადა კიდეც. მე-XIX საუკუნის ნახევრიდან პურის ფასი სისტემატიურად ეცემოდა. ამის მიზეზი უფრო მისცლა მოსვლის გაუმჯობესება იყო, რამაც შესაძლებელი გახდა პურის შემოტანა ამერიკიდან და ინდოეთიდან, სადაც მისი მოყვანა ძლიერ იატად ჯდება.

ამ გვარად, კაპიტალიზმია, რომელმაც კლეს თავის მოთხოვნილებასა შინაურ წარმოქანათ დაკმაყოფილების შეძლება წაართვა, გამოიწვაა ფულის საჭიროების თანდათან ზრდა, კლესი მოუსპო ის შემოხადადი, რომელსაც შინაური მრეწველობა აძლევდა და შეწის ნაერთვის გააიათვა.

მხოლოდ ერთის საშუალებით შეეძლო გლეხობას ამ აუტანელ მდგომარეობისაგან თავი დაეხწია, ეს საშუალება იყო წარმოების გაფართოვება. მაგრამ რაგვარად? ნახნავის გაღილება მიწის სივიწროვის გამო შეუძლებელი იყო, მამულის უკეთესად მოწყობისათვის საჭიროა ხელოვნურად მომზადებული სასუქი, მანქანები, კარგი ჯიშის საჭირელი, — მოკლედ რომ ესთქვათ, საჭიროა თანხა და ეს უკანასკნელი კი გლეს არ გააჩნდა.

ამ გვარად კაპიტალიზმის განვითარებით მესაკუთრე გლესის მდგომარეობა უარესდებოდა და არა თუ მარტო ბურუჟაზიის კეთილის მსურველთ,

ზოგიერთ ხალხის მეგობრებსაც კი ამ გაჭირვებიდან ხსნის იმედი არა ჰქონდათ. და ამ ხალხის მოსარჩევებმა აუცილებელ „ისტორიის კანონის“ წინაშე მუხლის მოდრეება და დამორჩილების საჭიროების აღიარება-და მოხერხდა.

საფრანგეთის მუშათა პარტიის ერთმა ლიდერთაგანმა, უან კორსემა, ამ რვა წლის წინად, დეპუტატთა პალატაში, ამ გვარ სიტყვებით დაასურათა ფრანგ გლეხის მდგომარეობა:

„მიწად მოქმედება,—ამბობდა იგი,— მეტისმეტ კრიტიკულ მდგომარეობაშია. თუ მას უნდა რომ იციცხლოს, თუ უნდა რომ მსოფლიო კონკურენციის და ფასების დაცემას ებრძოლოს, იძულებულია კარი გაუღოს მმოძრავ კაპიტალს და საშველიად მოიწვიოს. მაგრამ, თუ მიწად მოქმედება ამ საშველს მიმართავს, თუ იგი სესხის აღების დაწყებს, თუ მწარმოებელი სასუქის შესაძენად, უკეთეს ჯიშის ვაზის საყიდლათ და საერთოდ წარმოების გასაუმჯობესებლად იძულებულია კაპიტალს მიმართოს, ეს უსათუოდ ახლო მომავალში მიწაზედ კერძო საკუთრების, კერძო, გლეხის საკუთრების მმოძრავ კაპიტალის ხელში გადასვლას გამოიწვევს.

ამ გვარად, ბატონებო, მიწად მოქმედებას ასეთი საშიში კითხვის გადაწყვეტა სჭირია: ან იგი არ მიმართავს კაპიტალის ძალის, და უფულოდ წინვერ წავა, ვერ განვითარდება და მსოფლიო კონკურენციისაგან დაიღუპება, ან მიმართავს კაპიტალს, მის დამზარებით გადარჩება, გადარჩება, მაგრამ...

ჩაიყლაპება. და ეხლა მიწის გლეხის საკუთრებას შეუძლიან გაქრობის ორ ფორმაში მხოლოდ ერთი ამირჩიოს: ან უნდა გაპერე უსახსრობით, ან ფინანსებისაგან და მმოძრავ კაპიტალისაგან<sup>4</sup>.

მაგრამ, თუ სუვერენი, ხადხის მიტერიც და მოეგძარენ, დაემორჩიდა კაპიტალიზმის დაუშარტებელ ძალას, არ დაემორჩიდა მას შეთღლად თვით გრძესი. ღატაკი, ყველასაგან მიტოვებული, ბრძოლისათვის საუკეთესო იარაღს, მეცნიერებას და ტეხნიკას მოშორებული, იგი ცარიელი ხელით გამოვიდა კაპიტალიზმთან საბრძოლველად და ამ ბრძოლაში მხოლოდ თავის დაუღალავ მხეობით, თავის ყველაფრის ამტან ქედით იმედოვნებდა, მარტო თავის საკუთარ აზრით და მიხევდრილობით ხელმძღვანელობდა. და თუ, ნახევარ საუკენის განმავლობაში სასტიკ და შეუბრალებელ ბრძოლიდან ჯერ ძლევაზოსილი არ გამოსულა, არც კაპიტალიზმის სიმძლავრისაგან დამარტებულა. ეს უკანასკნელი გარემოება-კი შეგვიძლია გლეხს შესამჩნევ გამარჯვებად ჩაეცუთვალოდ.

#### IV.

საფრანგეთის შტერლები ხშირად იხასიათებდნენ ფრანგ გლეხს, ამ დახასიათებაში თანამედროვე გლეხის ტიპს ისინი ძლიერ შევ-ბნელ ფერიდებით იხურათებდნენ. გლეხი, იმათის აზრით ინდივიდუალისტი, გულჩახურული და ძუნწია. ეჭვიანება და ვე-

იზმი ძვალრბილში აქვს გამჯდარი. მისთვის ერთამდე-  
ერთი მისაწილომი გრძნობა, რომელსაც მოხელი მი-  
სი არსება შეუჰყოფია. საკუთრების სიყვარული და  
მის გაფართოების მისწარებაა. მოხელი თავის არ-  
სება მას მიწის ნაგლეჯისათვის შეუწირია; მოხელ  
თავის აზრს და გონებას საკუთრების გასაფართოვე-  
ბლად ფულის მოგრძვებას ანდომებს. წელს იწ-  
ყვეტს ბუტანელ ჩუშობით, ულემენტალურ მოთ-  
ხვნილებებს არიკმაყოფილებს, იქინწყლებს. და გუ-  
ლშივე იკლავს უღრმესს გრძნობებს: შშობლების  
და ცოლშეიღლის სიყვარულს, მეგობრობას; იგი არ  
შეუშინდება იმასაცკი, რომ თავის შშობელ დედ-  
მაშის სიშილო სული ამოართვას, საკუთარი შეი-  
ლები სახლიდან გააძევოს. მოხელი მისი სულიერი  
და გონებრივი ძალა მხოლოდ მიწას დაუმონავებია.  
მიწის სიყვარული, რომელიც გულისთვისად, მანიად  
გადაეჭმევა ზოლმე, ახშობს მასში ყველა აღამიანურ  
და მოქალაქობრივ გრძნობებს.

აი, ამგვარად გვიხატავს გლეხის ტიპს საფრან-  
გეთის მწერალთა მეტი წილი და მათ შორის ზო-  
ლაც თავის რომანში „მიწა“-ში.

ნუ თუ მართლა ასეთია საფრანგეთის გლეხი,  
რომლის მძლიერ მხარ-ბეჭედ აშენდა საფრანგეთის  
მღელვარე ისტორია მის მაღალ კულტურით და  
ბრწყინვალე ცივილიზაციით, რომელიც უზრდიდა  
და ეხლაც უზრდის საფრანგეთს გამოხენილ მწე-  
რალთ, მეტნიერთ და საზოგადო მოღვაწეთ, რო-  
გორც, მაგ., პრუდონი და პიტერი, გამბეტტა და  
კლემანსთა.

ეჭვი არ არის, რომ ამ დახასიათებაში ნაჩვენებია მხოლოდ ბნელი მხარეები, და ნაჩვენებია ძლიერ გულ-ცივად და მოუხეშვებად. ამის ერთი უმთავრესი მიზეზთავანი ის არის, რომ გლეხის ცხოვრებაზედ სწერდა ისეთი ხალხი, რომელიც სრულებით არ იცნობდა სოფელს, რომ საფრანგეთში არ დაბადებულია არც ერთი ნამდვილი ხალხური მწერალი. ფრანგებს ჰყავდათ ეკრეუ-ზანდი და მიშლე, მოპასაბნი და ზოლი, მაგრამ ისეთი მწერალი, რომელიც გაუღენთილი იყვნეს ხალხის სიყვარულით, რომელსაც გაშმაგდით სწყუროდეს ხალხის ცხოვრების ძირითადი თვისებების შესწავლა, მის დედა აზრის და მიმართულების შეგნება, სრულებით არ მოეპოვებათ. საფრანგეთში „გლეხობაზე სწერდნენ უმთავრესად „უქხონი უკხოთაოფის და ხშირად მშრომელ ხალხის მტრები მის მტკრთაოფის“. ამიტომაცაა, რომ გლეხის დახასიათება მათ ნაწერებში მეტის-მეტი ზერელე, გულ-ცივი და მოუხეშვებია. ოთხქმის არც ერთი მათგანი არ ჩამოიქრებია იმ კითხვებს, თუ რათ არის გლეხი კონსერვატორი, ეჭვიანი: და გულ-ჩახვეტული? რა მიზეზია, რომ გლეხის მხელი გრძნობა და მისწრაფება მის საკუთრების, მიწის პატარია ნაგლეჯს დაუმონავებია? ეს კითხვები ხომ გულიდასმითი ყურადღების ღირსნი არიან! თუ ზოგიერთი მხარეები ფრანგ გლეხის ხასიათისა არიტერატურაში სწორედ არის ნაჩვენები, არაერთარი უფლება არა გვაქვს ეს მხარეები მის ხასიათის ძირითად თვისებებად ჩავთვალოთ, რად-

განაც ისინი სამიწად-მომქმედო მუშაობით კი არ შექმნილან, კულტურულ კლასსთა ზედგავლენით. არიან გამოწვეულნი. გლეხის ექვინობა და კონსერვატორობა წარმოსდგება იქიდან, რომ კულტურულმა კლასებმა თვისდამი ნდობა არ ჩაუნერგეს და არც შეეძლოთ ჩაენერგათ, რადგანაც სულიერ ძალთა განვითარებისათვის არც სახსარი და არც შეძლება არ მისცეს. ას გარუშებულა, რომ გლეხმა მთელი ასაკის ძალითნე შეწას შეაღდა, რომ იგი შიწას ებდეუჭება, ასახსდაცემას ინსტანციების წარმოსდგება. მარტო თავის საკუთარი მიწის ნაგლეჯი მიაჩნდა მას ერთად ერთ მეგობრად და მფარველად; ისეთ მფარველად, რომელიც არას დროს მას არ მოატყუებს, არ უდალატებს, გამარტოვებულად და უშველელოდ არ დასტოვებს, სიმშილით სიკედილის საშინელს აჩრდილს პირის-პირ არ წაუყენებს.

დღიმა რევოლუციამ გლეხს იმდები გაუცრუვა, შიწას შექმას მაწა არ არგუნა,—და საფრანგეთის გლეხობამ ამ მძიმე ტვირთის თავის ზურგით ტარება გადასწყვიტა. მიშყო ხელი აუტანელ, მუდმივ მუშაობას და ამით ნელ-ნელა, დღიური დღიურზედ საბატონო მიწების შესყიდვა დაიწყო; დაიწყო განხორციელება იმ საქმისა, რომელსაც საფრანგეთის ყველა მწერლებმა „გლეხთა-მიერ მიწის დაპყრობა“ უწოდეს. შესაძლებელია, გლეხობას თანდათან თავის საწადელისათვის მიეღწია კიდეც, წინ რომ ახალი მტრები არ გადალობებოდნენ, რომ მას არ დასჭირდებოდა ახალი ბრძოლა იმ საკუთრების ციუ, რომელიც თავისი მასალის მიმართ

შესარჩენად, რომელიც ხელში ჰქონდა. იგი იძულებული იყო შესჩვეოდა და შესთვისებოდა ახალ ცხოვრების რთულ და ჩახლართულ პირობებს, რომელიც კაპიტალიზმა შევქმნა. და, რასაკვირველია, გლეხობა არ არის დამნაშავე იმაში, რომ ამ ძნელ საქმის განხორციელებისათვის იგი იძულებული გახდა მთელი თავისი გონებრივი და ფიზიკური ძალა მოვშველებინა.

საფრანგეთის ინტელიგენცია, მისი უფრო სინიდისიერი ნაწილიც კი, თუმცა წმინდის გულით ზრუნავდა მშრომელ ხალხის კეთილ-დღეობისათვის, მაგრამ, საჭიროების დაგვარად, ლრმად არ ჩაუფიქრდა გლეხის ფსიხოლოგიას, მის გონების მიღრევისას. იმის მაგივრად, რომ გლეხს დამოუკიდებლობისათვის და მიწისათვის ბრძოლაში მიშველებოდა, იგი შეუშინდა მის ჩამორჩენილობას, ინდივიდუალისტობიდას, გლეხობა რეაქციის საფუძვლად აღიარა, ბნელეთისადმი მისწრაფება დასწამა. ბოლოს ის-და მოიგონა, რომ მესაკუთრე—გლეხს ახლო მომავალში აუცილებლად გაქრობა მოყლის, რომ მის ალაგს უფრო ნაკლებად შეუპოვარი უმიწა-წყლო ბოგანო დაიკრის და ამ ფიქრებით დაიმედებულმა გული დაიშვიდა.

მხოლოდ ამ უკანასკნელ დროში ინტელიგენტ-სოციალისტებმა შეიგნეს, რომ ეს აზრი შემცდარია, რომ გლეხობაზედ ამ გვარ შეხედულებას ပუდი შედევი მოჰყვება— და სხვა გვარ ტაკტიკას დაადგნენ.

V

საფრანგეთის გლეხობა ცდილობდა დაუღალავ მუშაობით და ყოველნაირ გაჭირვების არანით შეწა ხელში ჩევდო, მაგრამ მუდამ მოწინააღმდეგე პირობებთან ბრძოლა სჭირდებოდა, მუდამ იმის შიშში იყო, ისიც არ დაეკარგა, რაც ებადა. ამ საფრანგეთის ერთი მიზეზთაგანი იყო ის გარემოება, რომ ოჯახის გაყრის დროს მამული ნაწილნაწილად იყოფოდა, ქუცმაცდებოდა. გლეხის საკუთრების ამგვარ ბუნებრივ და აუცილებელ დაპატარავებას მოსდევედა სილატაკე და ბოლოს მიწის დაკარგვაც. მაგრამ ამ გასაჭირის თავიდან ცდენისათვის გლეხი მალტუსის გულ-შემზარება რჩევასაც კი არ შეუშინდა. მამის სიკედილის შემდეგ მამული მხოლოდ მაშინ ნაწილდება, როდესაც მემკვიდრე რავდენიმეა, მაგრამ თუ მემკვიდრე მხოლოდ ერთია, მაშინ მამული მთლიანად მის ხელში გადადის. გლეხმაც გადასწუვიტა, ერთ შვილზედ მეტი ალარ ჰყოლოდა... ეს საშინელი და სასტიკი „შემცირება შთამომავლობის რიცხვისა“ საფრანგეთის გლეხთა შორის იქამდის ჩევეულებრივი და გავრცელებულია, რომ შემდეგი ანდაზაც კი არსებობს: „თავისღაბზნაურობამ უფროსი შვილი მოიგონა, გლეხობამ კი მხოლოდ დედის ერთა“.

მეორე, უფრო სიყურადღებო მიზეზი, რომელიც გლეხის კეთილ-დღეობას ძირს უთხრის და უმიწა-წყლოდ სტოვებს, არის სოფლის მცხოვრებ-

თა რიცხვის გამრავლება იქამდის, რომ მამული სამყოფი აღარ ხდება. ეს ზედ-მეტ მუშათა რიცხვი, რომელთაც არა აქვთ ორც თავის საკუთარი მიწა, არც საიჯარო მიწა ჰყოფნით, სულ მთლიად სოფლის მუშას აწვება კისერზედ, რადგანაც მიწის იჯარის აძვირებს და, რაც უფრო საყურადღებოა, სამუშაო ხელფასს აცოტავებს.

უმიწაწყლო გლეხთა რიცხვის ძლიერ გამრავლებას, და ამის მიზეზით, სამუშაო ქირის დაკლებას ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში, მაგ. ინგლისში და პრუსიაში, ის შედეგი მოჰყვა, რომ მსხვილ მამულებში მიწადმოქმედებამ მაღა მიიღო კაპიტალისტური ხასიათი, ე. ი. მსხვილ მამულებში დაქირავებულ სამუშაო ძალის, მანქანების და დიდ თანხების საშუალებით დაიწყო წარმოება. ამან გამოიწვია მიწის ნაყოფის შესამჩნევი გაიაფება და მესაკუთრე გლეხთა გაღიტაკება და უმიწოდ დარჩენა. საფრანგეთის გლეხი კი იმ შემთხვევაში უკეთეს პირობებში იმყოფება. დიდმა რევოლუციამ განთავისუფლებულ გლეხს მიწა არ დააკარგვინა; მიწის მუშა უმიწოდ ქუჩაში არ დასტოვა; აშაცმაც ჭაბულისტურმა წარმოებამ სასოფლო მეურნეობაში გერ შესდგა ფეხი და აშ უპანსპნედს ამგვარად ისევ ქველებური ხასიათი შერჩა. მსხვილ მამულებს უწინდებულიდ მოიჯარადრები, ფერმერები და მონახევრები ამუშავებდნენ. მთელ XIX საუკუნის განმავლობაში გლეხობა მთელის თავის ძალ-ლონით სცდილობდა სოფელი სამუშაო ხელის გადამეტებულ გა-

მრავლებისაგან გადაერჩინა და უოველ წლივ აწვ-  
დიდა ქარხანას ასობით და ათი ათასობით სოფელ-  
ში უსაქმოდ დარჩენილ მუშებს. ამ გარემოებას ის  
შედეგი მოჰყვა, რომ გასულ საუკუნის პანზავდაშა,  
ქადაქის შცხოვრებთა რაცხვა თათქმის ექვეჭერ შეტა  
გახდა ( $2\frac{1}{2}$ , შადაონას შაგივრად  $14\frac{1}{2}$  შადაონა) და  
სოფელის შცხოვრებთა რაცხვით დარჩა ისევ ის, რაც  
შე-XVIII საუკუნის დამდევში იყო, ე. ი. ისევ 24 შა-  
დაონას.

მხვილი მემამულეები არამც თუ გადამეტებულ  
სამუშაო ძალას, რაც საპირო იყო იმისაც-კი ვერა  
შოულობდნენ და გლეხის სოფლიდან ქალაქში გაქ-  
ცევას უჩივოდნენ. ისინი იმში სოფლის გარყვნას,  
და გლეხისაგან ხენა-თესვაზედ გულის აკრუების ხე-  
დავდნენ. წვრილ-ფეხი გლეხობამ-კი ამ „გაქცევით“  
ზურგი გაიმაგრა და გაღატაკებას გადაუჩა. გლე-  
ხობამ იმით, რომ მეტი სამუშაო ძალა სოფელში  
არ დასტოა, მსხვილ მემამულეს არ მისცა შეძლე-  
ბა თავის მამულში მსხვილ-კაპიტალისტური წარ-  
მოება შეეტანა, საიჯარო გადასახადის და მიწის ფა-  
სის დაკლებას მიაღწია \*) და ამასთან ერთად სამუ-  
შაო ხელფასის სისტემატიური ზრდაც გამოიწვია.\*\*)

\*) აი რა განსხვავებაა იჯარისა და მიწის ფასებისა  
1882 და 1892 წლებში:

წელიწადი იჯარა ერთ ჟექტარ საზუალო მიწის  
ფასი

1882 — 62 ტ. — 1,863 ტ.

1892 — 54 ტ. — 1,559 ტ.

\*\*) სოფელში წლიურად მომუშავენი იღებდნენ: 1864

ზოგმა ხელსაყრელ პირობებში, გლეხობის მხნეობაში, შეუცოდებელ და თავ-განწირულებაში სასოფ-ტო მეურნეობაში კაპიტალიზმის შექრა და განვი-თარება შეაჩერა, მაგრამ გლეხობა კაპიტალის არა პირდაპირ გავლენისაგან-კი მაინც ვერ იხსნა. მარ-თალია გლეხის წვრილ საკუთრებას მეზობლიად, გა-უმჯობესებულ ტეხნიკით და იაფ ფასიან მუშაო-ბით შეიძრალებული მსხვილ-კაპიტალისტური წარ-მოება არ გაუჩნდა, მაგრამ, იმავ კაპიტალიზმის წყა-ლობით, მიწის ნიუოფი მაინც ფასში დაეცა, რად-განაც შესაძლებელი გახდა იაფ-ფასიან პურის შო-რეულ ქვეყნებიდან შემოტანა.

გლეხობა გულ-მოდგინედ შეეცადა, რომ მიწა-როვორშე გაენაცოფიერებინა და საწადელსაც მიაღ-წია. თუ მე-XVIII საუკ. დამლევში საშუალო მი-წა შემოსავალს ერთი ექვსით იძლეოდა, ეხლა თო-თქმის ერთი თექსვმეტის ძლევა დაიწყო, მაგრამ პური ფასში ისე ძლიერ კლებულობდა, რომ მო-სავალის ზრდა შემოსავალს ვერ აღიდებდა. მაგა-ლითად წლიური საშუალო შემოსავალი ათის წლის განმავლობაში 1851—1861 წლიდის იყო 88,986,000 ჰექტოლიტრი პური; ერთი ჰექტო-ლიტრი პური 22 ფრანკი და 11 სანტიმი ლიტდა— ამგვარად მთელი შემოსავალი გამოდის 1967 $\frac{1}{2}$  მი-ლიონი ფრანკი (2 მილიარდი). ხელი წლის გან-

წ.—256 ფრ. წელიწადში; 1882 წ.—324 ფრ.; 1892 წ.—360 ფრ.; ამგვარადვე იზრდებოდა მწყემსების და მოსამსა-ხურების ჯილდურთ.

შავლობაში 1891—1895 წლის შემდეგ შავლის შემოსავალი იყო 120.000,000 პენტოლიტრი, ერთ ჰექტოლიტრი პურის ფასი კი 16 ფრ. და 49 სანტი-მი. — ეს შეადგენს ორ მილიარდზედ ცოტა ნაკლებს (1980 მილიონი), ე. ი. თოთქმის წინანდელ რიცხვს. ასეთივე საქმე ემართებოდა მიწის სავა ნაკოთხაც. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ამ 30—40 წლის განმავლობაში ხალხის მოთხოვნილებაც ძლიერ გაიზარდა.

გლეხს ცხოვრების სინამდვილემ ფრიად რთული და მძიმე საკითხი წამოუყენა; ამ საკითხის გადაწყვეტა ძველებურად შრომის და მხნეობის საშუალებით შეუძლებელი იყო და გლეხმაც ძალა-უნებურად თავი ანება კარჩიკეტილობას, იძულებული გახდა უარეყო ზოგ-ზოგი თავის შეხედულებანი, ხსნა თავის გარშემო ეძებნა, ერთის სიტყვით, იძულებული შეიქნა მოელი თავის ცხოვრების წყობილება შეეცვალა. გლეხი ამასაც არ შეუშინდა.

სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას, ერთის მხრივ, შშრომელ ხალხისათვის სასარგებლო შედეგი მოჰყავა. იმის გარდა, რომ მან, საქართვის წირმოების განვითარებით მიწის მუშას ზედ მეტი სამუშაო ძალა, რომელიც სოფელში უსაქმოდ რჩებოდა, თავიდან მოაშორა, — გლეხს გაულვიძა ახალი მისწრაფებანი და კარჩიკეტილობას თავი ანებებინა. ეორესმა ზემოხსენებულ სიტყვაში კაპიტალიზმის სოფელზედ გავლენის სურათი მეტად ნათლად და დიდის ხელოვნებით წარმოგვიდგინა.

„კაცობრიობის ისტორიაში,— ამბობდა იგი,— არაფერი არ იყარებდა, და მე არა მეონია, რომ საფრანგეთის გლეხობასაც მისი ხანგრძლივი ტანჯვა ამაოდ დაეყარებოს. დიახ! სასარგებლოა,— მე არ მეშინია ტრიბუნიდან ამ სიტყვების თქმა,— სასარგებლოა, რომ გლეხობა თავის მიწის პატარა ნაგლეჯზედ შორეულ და ფართო ეკონომიკურ მოვლენათა წყალობით იტანჯებოდა. გლეხი მეტად დიდხანს ემონავებოდა ვიწრო და ბრმა ინდივიდუალიზმს, გლეხი მხოლოდ თავის პატარა მიწის ნაგლეჯს ხედიადა და ამის იქნო არა გაეგებოდარა; ამ ქვეყნის დანარჩენ ცხოვრებასთან მას არავითარი საქმე არა ჰქონდა!....

„მაგრამ აი მის ნახნავ, ნაამავარ ყანას, ბუნებრივ მოვლენათა მავიერ, ეკონომიკურ სოციალურ და ადამიანის ძალის გავლენის სიომ დაპტერა; იგი ხნავს, სთესავს, მკის და თავის ოფლით მოყვანილი პური მახლობელ ბაზარზედ გააქვს. მაგრამ რას ხედავს! წლითი-წლობით ერთნაირად მუშაობს და მის მოყვანილ პურის, ლეინის, რძის და საქონლის ფასი კი სისტემატიურად ეცემა. მაგრამ ამ მოვლენას გლეხი ისე ჩუმათ, შეუშფოთებლივ, როგორც უწინ სერყვას, გვალვას და ყინვებს, აღარ ემორჩილება. იგი გრძნობს, თუმცა ბუნდოვანად, მაგრამ მაინც გრძნობს, რომ ამ ფასების დაკლებას სოციალური ხასიათი აქვს, რომ მისი მიზეზი ადამიანია; და მას ყოველ მხრიდან დაეინებით ეჩიჩინებიან სახელმწიფო მოღვაწენი, ფინანსისტები, ეკონომისტები და

ხალხის წარმომადგენლები, რომ მთელ დედა-შიწის  
ზურგზედ ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში გა-  
საკვრჩველი ცვლილება მოხდა; რომ ინდოეთის,  
სამხრეთ რესეთის, დასავლეთ იმერიკის თვალ-გადა-  
უწვდენელ მინდვრებზედ ხალხი მასავით მუშაობს,  
მაგრამ ეს მუშაობა იმას უფრო იაფად უჯდება;  
რომ მთელი ეს ნამუშავირი მსწრაფლ-მოსიარულე  
გემების წყალობით აქეთ მოზღვავდა და მთელის  
თვის სიმძიმით მას—გლეხს კისერზედ დააწვა. და  
ამგვარად, არა მარტო მის მოყვანილ პურის ფასი,  
არამედ თვით თავისუფლებაც, მის საკუთრების ბე-  
ღლილბალიც-კი იმაზედაა დამოკიდებული, თუ დასავ-  
ლეთ ამერიკაში ფერმერმა რავდენი პური დასთან,  
თუ სამხრეთ იყრიკის და ივსტრიალის მაღაროები-  
დან რავდენი ოქრო და ვერცხლი ამოიღეს, თუ ინ-  
დოეთის ღატაკი მუშა რა ხელფასს იღებს და სხვა  
ქვეყნებში გადასახადები რაგვარად არის განაშილე-  
ბული.

„და აი გლეხის თვალშინ, თითქოს ჯანყიდან ერ-  
კვევაო, ჩნდება ნელ-ნელი შორეული ქვეყნები და ხალ-  
ხები. ამასთანავე იგი მთელ კოცობრიობის სოლიდა-  
რობას ეხლა პირველად გრძნობს. მისი შეუგნებლობა,  
მისი სიხარხე, ეგოიზმი და კარხაკუტილობა პქრება და  
მის ნაცვლად გრძნობს, რომ მისი ცხოვრება სხვა  
ადამიანების ცხოვრებასთან მჰიდროდ არის შეკავში-  
რებული. იგი ამჩნევს, რომ მისი ყანა დელავს და  
თავთავს ხრის სოციალურ განვითარების სიოსაგან  
და არა პუნქტის მოვლენათაგან. და აქამდის განკა-

ლაპივებული და კარ-ჩაკეტილი გლეხი, ეხლა მთელ  
კაცობრიობის ცხოვრების მორევს უერთდება”.

მაგრამ ამ კრიზისს გლეხზედ სხვა გვარი კარ-  
გი გავლენაც ჰქონდა. დაუპირდაპირდა თუ არა სა-  
ერთაშორისო კონკურენციის საშინელს ქარტებილს,  
ადამიანის წარმოების შეუჩერებელ ნიაღვარს, გლე-  
ხი მაშინვე მიხვდა, რომ მისი განცალკევება ძლიერ  
საშიშოა და დაიწყო გადასარჩენად საშუალების  
ძებნა; დაიწყო თავის ძალების ტენერების შეკრე-  
ბა და შეთანხმება. გლეხმა ნათლათ შეიგნო,—, რომ  
თავის დაცვისთვის საქმარისი არ არის მარტო მი-  
წის საკუთრება,— და ფეხ ქვეშ გასამაგრებელს ნია-  
ღვა თავის გარშემო საზოგადოებაში ეძებს. ამ  
გვარიად კრიზისის ხანგრძლივობა გავლენამ გლეხი თან-  
და-თან ახალ აზრებს შეაჩინა და ახალ ცხოვრებისა-  
თვის მოამზადა.

## VI

საფრანგეთის გლეხის დახასიათებაში, დაწერი-  
ლია იგი ფრანგისაგან თუ სხვა ტომის კაცისაგან,  
გლეხის კერძო საკუთრების სიყვარულს და ყოველ-  
ნაირ საზოგადო, საერთო საქმისადმი ზოზლის და  
სიძულვილის ჩვენებას ყოველთვის უმთავრესი ად-  
გილი უჭირავს. მაგრამ გლეხის დამახასიათებელ  
შეწერალთ ავიწყდებათ სხვა კლასების გავლენა გლე-  
ხობაზე და უყურადღებოდ სტოკებენ ისეთ ფაქტებს,  
რომელიც კი მათ შეხედულებას არსებითად ეწინა-  
ოლმდეგება. ამის დასამტკიცებლად ავიღოთ, მაგალი-

თად, გლეხის შეხედულება მიწის საზოგადო მფლობელობაზე და ზე და გვეფიქრია, რომ საფრანგეთის გლეხობა დიდი ხანია სკულპტორიდა მიწის მფლობელობის ამ ფორმის გაქრობას; მაგრამ ფაქტები კი ამტკიცებენ, რომ საფრანგეთში მიწის საზოგადო მფლობელობის ძალით გაქრობას გლეხი კი არა მმართველი კლასსები სკულპტორენ; მაუნედანად იმისა, რომ რავდენიმე საუბრის კანმაცხოვანი ამ ფორმას სისტემატიურად და კნერგიულად ძალის უთხრიდნენ, იგი მაინც სრულიად არ გაქქრა, და ესდაც საფრანგეთის სახაფ-სათეს მიწების 9% გდეგთა საზოგადო პუტენილებას შეადგენს.

„მიწის საზოგადო მფლობელობამ საფრანგეთში,—ამბობს ნ. კუდრინი ერთს თავის წერილში \*), რომელიც საფრანგეთის საგლეხო კითხვას შეეხბა,—ბევრნაირ ჰიტ-ვარამს გათვალი: XVI და XVII საუკუნეში ფეოდალუებისაგან მიწის უსამართლოდ ხელში ჩაგდება; XVIII საუკ. ბურგუაზიულ იდეების გავრცელება; კუნვენტის 1793 წლის დადგენილება, რომელიც იყანონებდა, რომ საზოგადო მიწა უნდა დაყოფილიყო მცხოვრებთა შორის, თუ ამას ერთი მესამედი მოითხოვდა; 1813 წლის კამონი, რომლითაც ნაპოლეონმა საზოგადო სამფლობელო მიწების ერთი ნაწილი ომებისაგან დაცარიცხლებულ

\*) იხ. „საგლეხო საკითხი საფრანგეთში“, «Русское Елагство» 1900 წ. № 1.

ხასინას გადასცა და ამას სახელმწიფო სესხი უწოდა და სხვა და სხვა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადო მიწას გლეჯდნენ და ასახისრებდნენ, ძალით ან მოტკუებით საზოგადოებას სტაციებდნენ; მიუხედავად იმისა, რომ მიწის მფლობელობის ეს ფორმი ყოველნირ სამართლიან და უსამართლო კანონების გამოსაცდელ საშუალებად მიაჩნდათ, მას მაინც ესდაც მთელი საფრანგეთის ტერიტორიას მეთერთშეტელი ნაწილი უჭირავს და მთელთ 15 წლის განმავლობაში მის სიერცეს ერთი ნაბიჯიც არ დაჟღვებია. საყურადღებოა, რომ სოციალურ კოსტის ამ გვარმა გამწვავებამ ბურჟუაც-კი აიძულა მიწის კერძო საქუთრების ფორმისათვის კრიტიკულის თვალით შეეხედა და მიწის გასაზოგადოებრივობისათვის მეტი, ვიდრე ამ კლასის წარმომადგენელს შემვენის, ყურადღება მიექცია.

ამასთან ერთად სოციალისტურმა პარტიის მიწის გასაზოგადოებრივობა სამიწადმომქმედო ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის საუკეთესო იარაღი სცნეს და არა მარტო არსებულ თემების (ინშანი) დაცვას, ახლების შექმნასაც-კი სცდილობენ.

მაგრამ გლეხმა კაპიტალიზმის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიწის გასაზოგადოებრივობის გარდა სხვა იარაღიც გამოსძებნა. ეს იარაღი სულ უბრალო ფორმაა საზოგადოებრივ თანხმობის და ურთიერთ დამარების განხორციელებისა. ეს ფორმა ნებას აძლევს გლეხს ისევ მესაკუთრედ დარჩეს და ამასთან ერთად უმაღლეს კულტურის შემოსატანად, მოწინააღმდეგე პირობებთან საბრძოლველად და კანონმდებლობაზედ გავლენის შესაძლებლად საჭირო იარაღს ხელში აძლევს. ამ ფორმას სამიწადმოქმედო კავშირები — სინდიკატური ჰქვეან.

სულ 17 წელიწადით, რაც საფრანგეთში ეს  
სინდიკატები გაჩნდა და ამ მოულე ხანში დიდმაღლი  
მუშა ხალხი შეკვეთიდა, სინდიკატების რიცხვმაც  
შესაბმინევად იმატა და, იმედით, რაც დრო გავა ეს  
რიცხვი უფრო და უფრო გაიზრდება. პირველი  
სინდიკატები გაჩნდა 1848 წელს, როდესაც დემუ-  
ტატთა პალატიამ გამოსცა კანონი, რომლითაც ნე-  
ბას რთავდა მოქალაქეთ შექდგინით ისეთი საპრო-  
ფესიონალო სინდიკატები, რომელთაც მიზნათ ექ-  
ნებოდათ განხადუთობებით ეკონომიკი, სამრეწვე-  
ლო, საკომერციო და სამიწადმოქმედო ინტერესების  
შესწავლით და დაცუა. (1848 წ. 21 მარტის კანო-  
ნი). ამ აზრის პირველ მქადაგებლად და გამივრცე-  
ლებლად პროფესიონალის ინტელიგენცია გამოვიდა,  
და გლეხობაც ამ პირველ ცდას გულ-მხურვალედ  
დაუხვდა. საფრანგეთის ყველა კუთხეებში გაჩნდა  
სინდიკატები და მათი რიცხვი წლითი-წლობით გა-  
საკვირველ სისწრაფით იზრდებოდა. 1884 წელს  
სულ ხუთი სინდიკატით დაარსებული, რეკვი-  
ტის შეძლევა 1890 წ. სინდიკატების რიცხვი 648  
გახდა, წევრებისა-კუ, 234, 234. 1899 წლის დასაწ-  
ყისში მათ რიცხვმა ერთი სამაღიმიტა და წევ-  
რების რიცხვიც თითქმის  $\frac{1}{2}$ , მილიონიმდის ავიდა  
(491, 692). 1899 წლის დამლევში სულ 2, 133  
სინდიკატითიყოთ და მათ შემდეგ  
სინდიკატებს აიქს დასახულიძელი ფართო  
მიზანი, რომელიც გლეხის ცხოვრების ეკონომიკი,  
სოციალურ, პოლიტიკურ და ზნეობრივ მხარეებს  
შეეხება. საერთოდ მათი მიზანი — მიწად მოქმედე-  
ბის ეკონომიკური მდგრესების შესწევლისა და და-  
ცვის გამოიხატება და ცერძოდ იმგვარად ნაწილ-  
დება: 1) მიწად-მოქმედების ნაკლულევანებაზა შეა-

სწავლა; მათ თავიდგან ასაკილებლად საჭირო პროექტების წარდგენა მთავრობისათვის და ამ ზომათა პალიტიკური დაცვა; 2) სამეცნიერო ცოდნის გავრცელება ლექციებით, ბრძანებისა და ბიბლიოგრაფიულით და საერთოდ ცველა გამოსადევ საშუალებით ხალხში; 3) სასარგებლო მცენარეების, მოშენების გაუმჯობესებულ სასუქის, მანქანების და სამუშაო იარაღის გავრცელების ცდა, რათა შშრომელს შუალბა გაუადვილდეს, ხარჯი შეუმცირდეს და წილმოება გადიდდეს; 4) შექმნა იმ გვარ დაწესებულებითა, როგორც, მაგალ., საერთო წარმოება და ვაკერობა, დამხმარებელი და საპენსიო კასსებია, უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი საზოგადოებებია და სხვ.; 5) მიწის ნაყოფის ყიდვებ-გაყიდვების დროს შეაძილობა და ცდა, რომ სინდიკატების წევრებს შეეძლოს სასუქის, თესლის, სამუშაო იარაღის და საქონლის იაფ-ფასად შეძენა; 6) თვალიურის დევნა, რომ პროდუქტები, რომელთაც სინდიკატის წევრები ჰყიდიან ან ჰყიდულობენ, გაფუჭებული და ნარევი არ იყვნეს; 7) იმ კითხვებზეც, რომლებიც კი მიწის წარმოებას შეეხება, სინდიკატის წევრთათვის პასუხის და რჩევის უფასოდ მიწოდება; 8) წევრთა შორის ყოველ ნაირ ამხანაგობების, დამხმარებელ და დამზღვევ საზოგადოებების დაარსება; საერთოდ შექმნა იმგვარ დაწესებულებათა რომლებიც წევრების ყოველ მხრივ განვითარებას და მათ მდგრმარეობის გაუმჯობესების ხელს შეუწყობს.

უნდა ვთქვათ, რომ ეს პროექტები მარტო ქალალდზედ არ დარჩნენ, ამ 12—15 წლის განმაფლობაში საფრანგეთში მიწად-მოქმედების საქმეშ სინდიკატების წყალობით შესამჩნევად წინ წაიწია. ეხ-

ლანდელ სინდიკატებს შერეული ხასიათი აქვთ. მსხვილ  
და საშუალო შემამულეებთან ერთად წევრებად წვრი-  
ლი მესაკუთრენი, ფერმერები და მონახევრებიც ითვ-  
ლებიან. სინდიკატებში შესვლა შეუძლიანთ შუშებ-  
საც, მაგრამ ისინი ამ უფლებით არას დროს არ სარგებ-  
ლობენ. სინდიკატების ამ გვარი ხასიათი და ის გა-  
რემოება, რომ საქმის დამწყობად, ხელმძღვანელად  
უმთავრესად მსხვილი შემამულენი, არისტოკრატები,  
გრაფები და ბარონები არიან, — სინდიკატების ყო-  
ველ-ნაირ მოქმედებას სულ სხვა დაღს ასვამს და  
გლეხსაც ნაკლები სარგებლობა გამოაქვს. სინდიკა-  
ტებს არ შეუძლიანთ გლეხობას „მიწის დაპყრობა-  
ში“ უშველონ, არ შეუძლიანთ მიწის მსხვილ და  
წვრილ წარმოებათა შორის სამართლიანი ურთიერ-  
თობა დამყარონ. ამ კავშირების სარგებლობა მი-  
წალ-მოქმედების მხოლოდ იმ მხარეებში სჩანს, სა-  
დაც მსხვილ და წვრილ შემამულეთა ინტე-  
რესები ერთმანეთს შესამჩნევად არ ეწინააღმდე-  
გებიან, ე. ი. მხოლოდ წარმოების გაუმჯობესე-  
ბაში, გაფართოვებაში და გაიაფებაში. მსხვილ შე-  
მამულეთათვის იმიტომაა ხელსაყრელი ეს სინდიკა-  
ტები, რომ უკანასკნელთა საშუალებით მათ შეუ-  
ძლიანთ მთავრობას  $\frac{1}{2}$ , მილიონ გლეხთა სახელით  
მიმართონ და სასურველი კანონები გამოაცემინონ.  
სინდიკატების დიდი მნიშვნელობა გლეხობისათვისკი  
იმაში მდგომარეობს, რომ წვრილ მიწის წარმოება-  
ში ყოველგვარი გაუმჯობესება შეაქვს, ტეხნიკის დ  
მეცნიერების სარგებლობას მისთვის მისაწდომად  
ხდის და ამ გვარად წვრილ შესაკუთრე გდების საშუალე-  
ბა ექვევა თავისი ჰატარა და დარიან წარმოება და  
თანხის დაუხარჯავად გააინტენსივიროთს.

ის გარემოება, რომ სინდიკატებს მსხვილი მე-

მამულენი ხელმძღვანელობენ და მათი გლეხისთვის  
მნიშვნელობა შეკვეცილია, — არც ისე დიდათ სა-  
ფიქრელია, როგორც ეს ზოგიერთებს ჰყონით. აქ  
საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანი ის არის, რომ  
გლეხმა თავი ანება კარჩაკეტილობას, ინდივიდუა-  
ლიზმს და ხსნას სხვა მიწის მუშებთან ერთად სა-  
ზოგადო მუშაობაში ეძებს და ამ გვარად საამხანა-  
ვო, საკავშირო მოქმედების სარგებლობა ნათლად  
შეიგნო. შემდეგში თვით ცხოვრება ასწავლის მას  
თუ ეს იარაღი, ეს შეკავშირებული და შეთანხმე-  
ბული ძალა რას მოანდომოს. ბელგიაში ამგვარი  
მოძრაობა ქალაქშიც და სოფელშიც კლერიკალე-  
ბმა დაიწყეს, მაგრამ ეხლა კი ამ მოძრაობამ სულ  
სხვანაირი ხასიათი მიიღო და მისი ხელმძღვანელო-  
ბა სოციალისტურ პარტიის ხელში გადავიდა. სა-  
ფრანგეთშიც ამასვე უნდა მოველოდეთ.

## VII

ამ წერილის თავში ჩვენ დავუპირდაპირეთ სა-  
ფრანგეთის გლეხის მდგომარეობა XVIII საუკუნის  
დამლევში მის თანამედროვე მდგომარეობას. რომ  
უფრო გასაგები იყვეს ეს შედარება, რომ უფრო და-  
ნამდეილებით გავიგოთ უმჯობესდება თუ უარესდება  
გლეხის ყოფა-ცხოვრება, საჭიროა ამ უკანასკნელ  
წლების განმავლობაში შეკრეფილ რიცხვებზედ შევ-  
ჩერდეთ. ვნახოთ გლეხთა მიწის მფლობელობაში  
და სოფლის მცხოვრებთა შორის ამ ოცდა-ათის  
წლის განმავლობაში (1862 წლიდან—1892 წლიმ-  
დის რა ცვლილება მოხდა).

იმ ეს რიცხვები (ამაზედ ახალი ცნობები ჯერ-  
ჯერობით არ მოიპოვება):

	1862 ပ.	1882 ပ.	1892 ပ.	1862 ပ.—1892 ပြေဆင်
	ပရီလ္ဂာရိန္တာ၊ လွှာကျော်	ပရီလ္ဂာရိန္တာ၊ လွှာကျော်	ပရီလ္ဂာရိန္တာ၊ လွှာကျော်	ပရီလ္ဂာရိန္တာ၊ လွှာကျော်
1) ရုပ်သွေ မျိုးသွေ တွေ့စွာ၊ ရုပ်သွေနှင့် တွေ့စွာ မိမိများ ပေါ်စံ၏ တွေ့စွာ၏ အု လောက်- သွေ့၏ စာမျက်နှာ၏ အ- လှုပ် လုပ်မြောက် အ- သွေ့၏ . . . .	1,812,573	2,150,696	2,199,220	386,647
2) ပျော်ရှုံးရွှေ့ဝါဒ၊ . . . .	1,035,369	968,328	1,061,401	26,032
3) ပျော်ရှုံးရွှေ့ဝါဒ၊ . . . .	405,387	341,576	344,168	—
4) ပြော်ရှုံးရွှေ့ဝါဒ	2,008,747	1,430,687	1,210,081	798,666
5) ပျော်ရှုံးရွှေ့ဝါဒ၊ . . . .	2,094,777	1,954,251	1,831,174	263,603
	412,679	1,123,488		710,809

ის გარემოება, რომ ამ ანგარიშით სოფლის  
მუშათა რიცხვს 700 ათასზედ მეტი დააკლდა, ჩეენ  
სრულიად არ გვინტერესებს, რადგანაც ეს ელჩის-  
ლოტარინგიის დაკარგვამ გამოიწვია (70 წლებში).  
ჩეენთვის საყურადღებოა მხოლოდ ის ცელილება,  
რომელიც მიწის მომუშავე მცხოვრებთა განაწილე-  
ბაში მოხდა. ამ ცხრილს რომ დაუკვირდეთ გვი-  
გებთ, რომ ზემოსხენებულ ხნის განმავლობაში მე-  
საყუთრე გლეხთა რიცხვს 400 ათასი მიემატა, უმი-  
წაწყლო პროლეტართა რიცხვს ერთ მილიონზედ  
მეტი დააკლდა, მონახვერების ალაგი (მათ რიცხვ-  
მა 61,000 იყო) მოიჯარილების უფრო უკე-  
თესმა ფორმამ—ფერმერობამ დაიჭირა და უკანასკ-  
ნელთა რიცხვი 26,000 გახდა. ეს რიცხვები შშეე-  
ნივრად გვიმტკიცებენ, რომ მარტო მესაყუთრე  
გლეხს უკავა არა, უმიწაწყლო ბოგანისაც კი გულში  
მიწის სიყვარულის ნაპერწყალი უდევის.

ზევით აღვნიშნეთ სოფლის მუშათა ხელფასი  
როგორ სისტემატიურად იჩრდებოდა. მოვიყვანთ  
კიდევ რამდენიმე რიცხვს იმის დასამტკიცებლად თუ  
საფრანგეთის სოფლის კეთილ-დღეობა როგორ იჩრ-  
დებოდა. კეთილდღეობის საუკეთესო მაჩვენებლად  
დაბარჯულ ხოტის რაოდენობა ითვლება. 1862  
წლის განმავლობაში თვითონეული სოფლის მცხოვ-  
რები ხორჯვდა—18,89 კილოგრ. ხორცის (კილოგ-  
რამით 2% გირეანქას უდრის); 1882 წ.—21,89  
კილო; 1892 წ.—26,25 კილ. (ამავე დროს ქალა-  
ქის თვითონეულ მცხოვრებზედ მიდიოდა 58,12 კი-  
ლოფრამში).

უკელა ამით ჩეენ არ გვსურდა დაგვემტკიცები-  
ნა, რომ საფრანგეთის სოფელი მიწიერ სამოთხეს  
წარმოადგენს და რომ საფრანგეთის გლეხობას ყო-

კელნაირ სტიქიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ  
განსაცდელთან გასწორება თავის ძალ-ღონით შე-  
უძლიან, და ამიტომ არავის მოსარჩლეობა არ სჭი-  
რია. სრულიათაც არა.

საფრანგეთის გლეხობა მთელის საუკუნის გან-  
მავლობაში მიწისთვის და ეკონომიკურ თავისუფლე-  
ბისთვის შეუპოვრად იბრძოდა. ამ ბრძოლას, რო-  
მელმაც შშრომელ ხალხს მთელი ძალ-ღონე შეაკ-  
რეფინა, აუარებელი მსხვერპლი შეაწირინა, გლეხი  
აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო, ჯერაც გათავე-  
ბულად ვერ ჩავთვლით; ჯერაც არ შეგვიძლიან  
შშრომელ ხალხს გამარჯვება მივულოცოთ. ჩვენ  
მხოლოდ იმის დამტკიცება გვსურდა, რომ ამ ბრძო-  
ლაში გლეხი არ დამარცხებულა და ძლევამოსილიც  
ბოლოს ის გამოვა. თუ უწინ მოუმზადებელი, გა-  
მარტოვებული და შეუკავშირებელი კაპიტალიზმის  
პირველს უმძლიავრესს შეხლას მედგრად და შე-  
უპოვრად დაუხვდა, ცხადზედ უცხადესია, რომ  
ეხლა, როდესაც გლეხობამ შეკავშირებას, შეერთე-  
ბას მიჰყო ხელი, როდესაც მას საშველად პოლი-  
ტიკურმა და სოციალისტურმა პარტიისმა ხელი გა-  
უწიდეს, უფრო აჩქარებულის ნაბიჯით გასწევს წინ  
თავის მიზნისაეკნ, უფრო მაღა ჩაიგდებს ხელში  
მიწას და დამოუკიდებლობას. და როდესაც ეს ცხო-  
ველი მიზანი განხორციელდება, როდესაც ეს ის-  
ტრიული საკითხი გადაწყდება, მაშინ — და მხო-  
ლოდ მაშინ გამოვა საფრანგეთის გლეხი ისტორიის  
და კულტურულ ცხოვრების სარჩიელზედ და დაა-  
ნახვებს კაცობრიობას თუ რას წარმოადგენს იგი  
და რის გაკეთება ძალუბს.